პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI— ORGAN ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 ოთხშაბათი 30 ნოემბერი № 279 (17019) წელი 24-ე

1977

საიუბილეო წლის დამკვრელური ფინიში!

რაციონალიზატორთა წვლილი

ბიათურა. (სპკ. კორ.). 141.500 მანეთი დაუზოგეს წარმოებას დიმიტროვის სახელობის მაღაროს რაციონალიზატორებმა. განვლილ ათ თვეში. ეს გაცილებით მეტია, ვიდრე მაგი საიუბილეო წლის ვალდებულება ითვალისწინებდა.

დიდ უურადღებას იმსახურებს გამამდიდრებელი ფაბრიკის გამგის ა. ბარათაშვილის, მთავარი ინჟინრის მოადგილის ბ. ბიწაძის და მთავარი მექანიკოსის მოადგილის უ. დადუნაშვილის მიერ განხორციელებული ტექნოლოგიური სიახლე, — „ვარბონატული მადნის ნარჩენებიდან დამატებითი ფოსკატრატის მიღება“.

ადრე ფაბრიკაში მადნის გამდიდრების შემდეგ დარჩენილი ეგვერთწოდებული „კუდები“ შლამში ჩაყრაგებოდა. ახლა კი ხდება მათი განმეორებითი გამდიდრება.

ო. ნიჟარაძე.

მოწინავეთა რიგებში

ფოთი. ქალაქის სამრეწველო საწარმოთა ავანგარდშია ხორცისა და რძის კომბინატი, რომლის კოლექტივმა ოქტომბრის საიუბილეო ზეიმის აღსანიშნავად სამშობლოს უპატაჟა მეათე ხუთწლედის ორი წლისა და მიმდინარე წლის გეგმების შესრულება.

კომბინატის კოლექტივი რესპუბლიკის მასშტაბითაც მოწინავეთა რიგებში დგას. იგი მესამე კვარტალის შედეგების მიხედვით პირველ ადგილზე გამოვიდა და მრავალ საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროსა და კავების მრეწველობის მეშაყთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

ჯ. კომახიძე.

გეგმა ვადამდე

თბილისი. („კომუნისტი“ კორ.). აღმოსავლობით შრომობს ხუთწლედის მეორე საიუბილეო წლის ფინიშზე დედაქალაქის ცხიმკომბინატის კოლექტივი, რომელიც გადაჭარბებით ასრულებს როგორც გეგმებს, ისე ნაკისრ გაზრდილ სოციალისტურ ვალდებულებებს. პროდუქციის რეალიზაციის თერმეტი თვის დავალება მათ ადრეზე რვა დღით ადრე უპატაჟეს სამშობლოს.

ცხიმკომბინატელებმა, აწონდაწონეს რა თავიანთი შესაძლებლობანი, გადაწყვიტეს დარჩენილი დღეების ინვარიაში დამატებით მოახდინონ 6.335 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია. თერმეტ თვეში სულ რეალიზებული იქნება 52.782 ათასი მანეთის პროდუქცია, რაც გეგმის 2 მილიონი მანეთით აღემატება.

თ. კინწურაშვილი.

თბილისის № 1 ტრიკოტაჟის ფაბრიკის ელექტროსამკერის უფროსმა შოთა სებისკვერაძემ მნიშვნელოვნად გაუმჯობესა მრგვლადსაბევი მანქანები. მან ელექტრომაგნიტური მუხრუჭების პლასტმასის კოჭები მუყაოს სპეციალური კოჭებით შეცვალა. ამ სიახლის მეშვეობით მკვეთრად შემცირდა უბარისხო პროდუქციის გამოშვება და ნაწარმომ ათი ათასობით მანეთის ეკონომია მიიღო.

ეს მრავალთაგან ერთ-ერთი წინადადებაა, რომლებიც რაციონალიზატორმა წარმოებაში დანერგა.

ბევრი ძვირფასი იიანლის ავტორია ხატკენების ხაამკრის ოხტატან თანაშემწე ბორის პარშკინი. მარტო მიმდინარე წელს წარმოებაში დაინერგა მისი ოთხი რაციონალიზატორული წინადადება. ეს ნაწარმოს ყოველწლიურად 12 ათას მანეთს დაუზოგავს.

სურათზე: თბილისის № 1 ტრიკოტაჟის ფაბრიკის აქტიური რაციონალიზატორები ხაამკრის ოხტატან თანაშემწე კომუნისტი ბორის პარშკინი (მარცხნივ) და ელექტროსამკრის უფროსი, კომუნისტი შოთა სებისკვერაძე. ახალი რაციონალიზატორული წინადადების შემუშავების დროს.

ბ. ბორბუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

პრესის უმნიშვნელოვანესი საქმე

მთავრდება მეათე ხუთწლედის მეორე წელი. ამ წელმა, რომელიც დიდი პოლიტიკური მოვლენებითა და ჭეშმარიტ საზოგადოებრივი ცხოვრების შემდგომი გაღრმავებით აღინიშნა, საყურადღებო გამოცდილება შეიძინა ჩვენი ჟურნალისტიკის შემოქმედებითმა პრაქტიკამაც. პრესამ, ტელევიზიამ და რადიომ, საინფორმაციო სააგენტოებმა, წიგნის გამომცემლობებმა სასარგებლო წვლილი შეიტანეს სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაოსახალხო განხილვის ორგანიზაციაში, დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის მზადებაში.

საბჭოთა ჭეშმარიტებანი ყოველმხრივ აისახა პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებებში, რომლებიც მან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესიაზე და კრემლში გამართულ საზეიმო საიუბილეო სხდომაზე გააკეთა. ამ დოკუმენტებში შეჯამებულია ლენინური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიული გამოცდილება და ამავე დროს მოცემულია თანამედროვე პირობებში კომუნისტური მშენებლობის სტრატეგიისა და ტაქტიკის ღრმა მეცნიერული დასაბუთებაც.

პრესის, ტელევიზიისა და რადიოს, საინფორმაციო სააგენტოების, წიგნის გამომცემლობების მუშაობის უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა თითოეულ საბჭოთა ადამიანს გააცნონ შემოქმედებითი მარქსზმ-ლენინიზმის ამ უთვალსაჩინოესი დოკუმენტების სულისკვეთება და არსი, პროპაგანდა გაუწიონ ახალ ძირითად კანონს, ხელი შეუწყონ მისი დებულებების რეალიზაციას. მათი პროპაგანდისტული და ორგანიზატორული საქმიანობა გამსჭვალული უნდა იყოს იმის მკაფიო გაგებით, რომ საზოგადოებრივი განვითარების მიმდინარეობა სულ უფრო რთულ ამოცანებს სახავს ცხოვრების ყველა დარგში, აძლიერებს მოთხოვნებს კადრებისადმი, ყველა რგოლში ორგანიზებულობის, გერგილიანობისა და დისციპლინის, ადამიანთა შეგნებისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის დონისადმი. სწორედ ამ თვალსაზრისით მომთხოვნელობით უნდა გავაანალიზოთ ჟურნალისტური პრაქტიკის მდგომარეობა, ვეძებოთ და ვიპოვოთ აქტუალური თემების შემუშავებისადმი ახალი მიდგომა, მკაფიო, გამომსახველი პუბლიცისტური საშუალებანი, ავამაღლოთ მათი ქმედითობა.

ჩვენი იდეალების პროპაგანდა თავისი არსით პასიურ-თხრობითი არ უნდა იყოს. იგი ხელს უნდა უწყობდეს მშრომელთა მტკიცე კომუნისტური მრწამსის, აქტიური ცხოვრებისეული, პოზიციის, მაღალი პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებას. ეს კი გულისხმობს, რომ უფლამ არა მარტო კარგად უნდა ვიცოდეთ ჩვენი მოქალაქეობრივი უფლება-თავისუფლებანი, არამედ იმის უნარიც უნდა გვქონდეს, რომ განვახორციელოთ ისინი კომუნიზმის შენებლობის ინტერესებისათვის, პატიოსნად და კეთილსინდისიერად მოვეკიდოთ საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებას. სწორედ ამ საფუძველზე საჭიროა პრესაში მომწიფებული სოციალიზმის საზოგადოების კანონზომიერებათა და თავისებურებათა შესახებ თეორიული დასკვნების გასაგები განმარტება ორგანულად იყოს შეჯამებული სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი განვითარების, წარმოების ეფექტიანობის, მუშაობის ხარისხის ამაღლების, ადამიანთა ზნეობრივი აღზრდის საჭირბოროტო პრობლემებთან.

ახლა რედაქციებში სახავენ ძირითად გამოსვლათა პერსპექტიულ გეგმებს, განსაზღვრავენ თემებსა და ობიექტებს, რომლებსაც განსაკუთრებული ყურადღება და შემოქმედებითი ძალების თავმოყრა სჭირდება. ამ გეგმების აქტუალობას ბევრად განსაზღვრავს ის, თუ რამდენად მჭიდროდ უკავშირდება ისინი პარტიული კომიტეტების ღონისძიებებსა და პრობლემებს, რომლებსაც შრომითი კოლექტივები წყვეტენ, პარტიული განათლების სისტემაში მეცადინეობისა და კომკავშირული პოლიტიკური სწავლების პროგრამებს.

„ვიღრა უკრაინა“ (ლვოვი), „ზვიაზდა“ (ბელორუსია), „ტუვინსკაია პრავდა“, „ბრიანსკი რაბოჩი“, „პოლიარნაია პრავდა“ (მურმანსკი), „სოვეტსკაია ლიტვა“ და სხვა გაზეთები უკანასკნელ ხანს ბევრ საინტერესო, დასახსოვნებელ მასალას ბეჭდავენ. ადგილობრივი ცხოვრებიდან მოყვანილი ფაქტებით ისინი გვიჩვენებენ, თუ როგორ მოქმედებს, ცხოვრობს, მუშაობს ჩვენი ახალი კონსტიტუცია, რომელიც ხორცს ისხამს საბჭოთა ადამიანების საყურადღებო ინიციატივებსა და მიღწევებში. ეს გამოსვლები დამჯერებლად ადასტურებს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ გამოთქმულ იმ აზრს, რომ სოციალისტური დემოკრატიის განვითარება ჩვენში ეკონომიკური პროგრესის ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად გადაიქცა. თავის მხრივ, საბჭოთა საზოგადოების საწარმოო რესურსებისა და ხასიათი დოგლათის გამოავლენა მისი დემოკრატიული საწყისების განმტკიცებისა და განვითარების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა.

მაგრამ ზოგიერთ პრესის ორგანოში ჯერ კიდევ ნაკლებად ეძებენ ნამდვილად მნიშვნელოვანი, დროის შესაბამისი თემების, მასალების მიწოდების მრავალფეროვან ნაკადს. ამიტომ ზოგჯერ „პრავდაში“, „მაგალითად, აღინიშნა ქართული რესპუბლიკური გაზეთის „კომუნისტის“ არსებითი ნაკლოვანებანი, რომელიც გაუბედავად იყენებს ბეჭდვითი სიტყვის შესაძლებლობებს ideურ-პოლიტიკური და ზნეობრივი აღზრდის გასაძლიერებლად. იგი ზეპელად აშუქებს იმ ახალს, რაც რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებსა და შრომითს კოლექტივებში, მეათე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლის მოწინავე ხაზზე, მასობრივი სოციალისტური შეჯიბრების წიაღში იბადება. გაკრიტიკებული იყო აგრეთვე კურგანისა და ომსკის ოლქების ზოგიერთ გაზეთში დასახული ტენდენცია — სინამდვილის პუბლიცისტური გაანალიზება შეცვალონ მისი სტატისტიკური ახსნით, ცნობებისა და სხვა ციფრობრივი მონაცემების სიუხვით.

პრესის მუშაობის ამგვარი ნაკლებად ეფექტიანი მეთოდების გამოყენებისათვის ნაწილობრივ პასუხს აგებენ შესაბამისი პარტიული კომიტეტები. ისინი, თუმცა არსებითად სწორ ამოცანებს უსახავენ თავიანთ ბეჭდვითი ორგანოების კოლექტივებს, ზშირად მაინც ვერ აძლევენ ჟურნალისტებს სწორ ორიენტაციას იმისათვის, რომ ნამდვილად შემოქმედებითად განახორციელონ ეს ამოცანები პუბლიცისტიკის თავისებურებებისა და მკითხველთა აღქმის ფსიქოლოგიის გათვალისწინებით, ურიგდებიან ფორმალიზმს საგაზეთო ნაქმეში. ახლანდელ ეტაპზე განსაკუთრებით აქტუალური ხდება სკკპ XXV ყრილობის მითითება — ვისწავლოთ პრესის საზოგადოებრივი ძალის სრულად გამოყენება. დღენიადაგ ვიზრუნოთ მისი გამოხვლების პროფესიული დონის ამაღლებისათვის.

ეს ძალა მაღალფარდოვანი ხიტყვების ხმარება კი არ არის, არამედ იმის ცოდნა, რომ გაზეთსა თუ ჟურნალის ყოველი ნომერი, ყოველი ტელე-თუ რადიოგადაცემა აღსავსე იყოს ნამდვილად ახალი, საჭირბოროტო და ღრმა შინაარსით. ეს ძალა ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაზე, მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა აქტიური, კარგად მოფიქრებული და თანამიმდევრული ზემოქმედებაა. ეს ძალა იმის ცოდნაა, რომ გავლენა მოვახდინოთ ადამიანთა გონებასა და გულზე, განვუმტკიცოთ მათ კომუნისტური მრწამსი, განვუვითაროთ მოქალაქეობრივი აქტიურობა. ასეთია მიზნები, რომლებიც კონკრეტულად, დამაჯერებლად უნდა აისახოს როგორც პრესის პარტიული ხელმძღვანელობის პრაქტიკაში, ისე ჟურნალისტთა კოლექტივების ყოველდღიურ შემოქმედებითს საქმიანობაში.

ПРАВДА 29 ნოემბრის მოწინავე

პარტიასთან ერთად, ხალხთან ერთად

მოსკოვში გაიხსნა სსრ კავშირის მხატვართა მეხუთე ყრილობა

□

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთიან შრომითს მწყობრში დგანან სახვითი ხელოვნების მოღვაწენი. თავიანთ ძირითად ამოცანად მათ მიაჩნიათ შემოქმედების იდეურ-მხატვრული დონის ამაღლება, ხალხის ცხოვრებასთან ხელოვნების მჭიდრო კავშირის განმტკიცება. ხელოვნების ბედისათვის, ხალხის სულიერი კულტურის განვითარებისათვის დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით ჩამოვიდნენ მოსკოვში სსრ კავშირის მხატვართა V ყრილობის დელეგატები. ეს ყრილობა გაიხსნა 29 ნოემბერს კრემლის დიდ სასახლეში.

შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ ამხანაგებს **ვ. ვ. გრიშინს, ა. ბ. კირილენკოს, კ. ტ. მაზუროვს, მ. ა. სუსლოვს, პ. ნ. დემიჩევს, ი. ვ. კაბიტონოვს, მ. ვ. ზიმიანინს.**

სსრ კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის საანგარიშო მოხსენება „საბჭოთა მხატვრის შემოქმედება ხალხის დიდი აღმშენებლობითი შრომის განუყოფელი ნაწილია“ გააკეთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ **ნ. ა. პონომარიოვმა.**

ჩვენი საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა — კომუნისტური პარტია, თქვა მან, პრინციპიულად და სათუთად განსაზღვრავს საბჭოთა მხატვრული კულტურის განვითარების გზებს. იგი ხელს უწყობს მხატვარს გამოძიებოს ცხოვრებაში სწორი პოზიცია, მჭიდროდ დაუკავშიროს თავისი შემოქმედება მთელი შრომითი კოლექტივის დიდ საქმეებსა და საზრუნავს კომუნისტური იდეების გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

სსრ კავშირის მხატვართა წინა ყრილობის, შემდეგ განვლილი ოთხი წელიწადი იქცა შემოქმედებითი ორგანიზაციის განმტკიცების, მისი საქმიანობის მნიშვნელოვანი გაფართოების, მუშაობის შინაარსის გამდიდრების დროდ. ჩვენ ეხედავთ არსებულ სძნელებსა და ნაკლოვანებებს, ხაზი გაუსვა მომხსენებელმა. მაგრამ, მიღწეულს საფუძველზე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენს შემოქმედებითს კავშირს უნარი შესწევს გადაწყვეტოს კომუნისტური მშენებლობის ახალი ეტაპის მიერ წამოყენებული დიდი ideურ-შემოქმედებითი ამოცანები.

ხელოვნებისა და შრომის კავშირი, თქვა შემდეგ ორატორმა, ცოცხალ კონკრეტულ საქმედ იქცა, რომელიც რუსეთის მხატვრებმა დაიწყეს და ყველა რესპუბლიკის შემოქმედებითმა კოლექტივებმა აიტაცეს. მან დაასახელა სამრეწველო საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობების კოლექტივებთან ნაყოფიერი შემოქმედებითი კავშირის ბევრი მაგალითი.

დღეს ჩვენს ხელოვნებას უჩვეულოდ ფართო აუდიტორია ჰყავს, აღნიშნა მომხსენებელმა. არ არის ცხოვრების ისეთი სფერო, სადაც საბჭოთა ადამიანს ხელოვნების ნაწარმოებებთან არ ჰქონდეს საქმე, მაგრამ მთელ ორგანიზაციულ-შემოქმედებითს მუშაობაში განსაკუთრებით დიდი ადგილი უკავია საგამოფენო საქმიანობას. მის გაშლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი ხელოვნების განვითარებისათვის, მხატვართა შემოქმედებითი აქტიურობის გაძლიერებისათვის.

შემდეგ ნ. ა. პონომარიოვმა დაახასიათა ახალგაზრდების შემოქმედება და აღნიშნა, რომ საბჭოთა სახვითს ხელოვნებაში, მთლიანად ჩვენს მხატვრულ კულტურაში ახალი ძალების მზარდი მოზღვავება კიდევ ერთხელ მკაფიოდ აკენებს განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების სულიერ ატმოსფერის, რომელიც ხელს უწყობს ხასიათით მრავალეროვნული და სულისკვეთებით ინტერნაციონალური სოციალისტური კულტურის აყვავებას.

არსად მსოფლიოში, ხაზგასმით აღნიშნეს მომხსენებელმა და ყრილობაზე გამოსულებმა, მხატვარი არ არის გარემოსილი სახელმწიფოს და ხალხის ისეთი დიდი ყურადღებით და ზრუნვით, როგორც ჩვენს ქვეყანაში. დიდ ნდობას უცხადებს მხატვარს კომუნისტური პარტია. მისი ზნეობრივი, პროფესიული ვალია იყოს ამ დიდი ნდობის ღირსი.

სსრ კავშირის მხატვართა V ყრილობა მუშაობას განაგრძობს.

(საკ. ინ. კორ.).

მეგობრულ ვიზიტად

28 ნოემბერს მოსკოვში მეგობრულ, საქმიან ვიზიტად ჩამოვიდა ირაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ხელმძღვანელობის წევრი, სირიის არაბთა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ჰ. ჰადდამი.

აეროდრომზე ა. ჰ. ჰადდამს დახვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო. (საკ.ინ.).

გულითად ვითარებაში

29 ნოემბერს მოსკოვში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოსა და ირაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ხელმძღვანელობის წევრის, სირიის არაბთა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ჰ. ჰადდამის მოლაპარაკება.

მოლაპარაკების დროს, რომელმაც ურთიერთგაგების ატმოსფეროში ჩაიარა, მათ საფუძვლიანად გაუზიარეს ერთმანეთს აზრი ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობის განვითარებასთან, სამაოცდაექვსე საფუძველზე ახლო აღმოსავლეთის საკითხის მოწესრიგებასთან, სსრ კავშირისა და სირიის მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. (საკ.ინ.).

წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის შემდგომი ამაღლებისათვის

25-26 ნოემბერს თბილისში მიმდინარეობდა რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელმაც განიხილა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების საკითხები.

კონფერენცია შეუჯავნი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

დღეს, ამ დარბაზში, თქვა ამხ. შევარდნაძემ, შეიკრიბნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, საქართველოს კომპარტიის სოფლო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნები, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, სახალხო კონტროლის მუშაკები, მეცნიერები, წარმოების მოწინავეები, რაციონალიზატორები, გამომგონებლები, მუშაობა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, სახალხო დეპუტატთა საბჭოების დეპუტატები, რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები და პასუხისმგებელი მუშაკები, პრესის, რადიოს, ტელევიზიის, ჩვენი საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ჩვენი კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვ. ვ. ბოიკოცოი, სსრ კავშირის მსუბუქი, კვების მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოთა მანქანათმშენებლობის სამინისტროს კოლეგიის წევრი, მთავარი ტექნიკური სამმართველოს უფროსი ვ. ს. ლაპშინი, სსრ კავშირის სახსტანდარტის კოლეგიის წევრი, სამმართველოს უფროსი ვ. ნ. ბახურინი და სსრ კავშირის სახსტანდარტისა და მისი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სხვა მუშაკები, რომლებმაც დიდი დახმარება გაგვიწიეს ამ კონფერენციის მომზადებისა და ჩატარებაში.

წარმომადგენლობის თვალსაზრისით ჩვენი ფორუმი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დონეზე მიმდინარეობს. ამას პირდაპირი დამოკიდებულება აქვს ჩვენი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის პოლიტიკურ მნიშვნელობასთან.

ხალხთა ეკონომიკურ ეფექტიანობა, ეს ერთ-ერთი ... ...

წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის უეძდგომი ამაღლებისა

(ბაბრაძელეგა)

ხარისხი, დროის ფაქტორი, ეფექტიანობა, წარმოების ინტენსიფიკაციის განუყრელად დაკავშირებული მხარეებია, მეათე ხუთწლეულში სოციალისტური მეურნეობის მტკიცე წინაღვალი საფუძველია.

ხარისხის ამაღლების ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა დამოკიდებულია ჩვენი საზოგადოების მთავარ საწარმოო ძალაზე — მშრომელებზე, მათი შრომის ხარისხზე. ეს გარემოება მოითხოვს არა მარტო კადრების ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალური ტექნიკური მომზადების ამაღლებას, არამედ ცოცხალი და განვითარებული შრომის ყოველდღიურ დაზოგვასაც.

ხარისხისა და ეფექტიანობის პრობლემა საწარმოო-ტექნიკურიდან სპეციალურ და იდეოლოგიურ პრობლემად იქცევა. სამე ეხება შრომის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებას, მუშათა დაწყებული და მთელი სახალხო მეურნეობის მართვისა და დაგეგმვის დამთავრებული.

ამრიგად, ჩვენი პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების პრობლემა ახალ ეტაპზეა დაყენებული: უფრო სრულად გამოვიყენოთ მეურნეობის სოციალისტური სისტემის მთელი უპირატესობანი, მისი შინაგანი რეზერვები ჩვენი ქვეყნის განვითარების დასახული სოციალური პროგრამის გადასაწყვეტად. „...რადგან ამ მომჭირნეობის მიზანია, — როგორც ლენინი ეალის ძე ბრეჟნევმა პარტიის XXV ყრილობაზე თქვა, — ჩვენთვის ყველაზე ძვირფასის — სამშობლოს სიმდიდრე და ძლიერება, ჩვენი ხალხის კეთილდღეობა და აყვავება".

კომუნისტური პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზმი და უდიდესი სასიცოცხლო ძალა ის არის, რომ მასში საერთო მშენებლობის კონკრეტული საკითხების დაყენება, რომლებიც თანამედროვე საარსებო მოთხოვნებს შეესაბამება, ხანგრძლივი ეკონომიკური სტრატეგიის საფუძვლიან მემუშავებასთან არის შეხამებული.

ყრილობის გადაწყვეტილებათა ესერულებასს ჩვენ მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის შესაძლებელ ზრდას მივაღწიეთ. ადიდებ ერთ. გაფართოვდა მეცნიერული ბაზა. ეფექტიანობა ძალიან ასიათასჯერ გამომჭნარებისა და რაციონალიზატორის შემოქმედებას. ბერმა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებამ, მთელმა დარგებმა მოინაგე ტექნიკურ მიჯნებს მიაღწია. რესპუბლიკაში წარმოებული ვარი სახეობის მოწყობილობა, ასობრივი მოთხოვნის პროდუქცია, ცალკეულ ტიპის მანქანები, ...

წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის შემდგომი ამაღლებისათვის

(დასასრული)

—

...სტანდარტიზაციის დარგში მათი საქმიანობის შემდგომი გაძლიერებით.

საჭიროდ ითის მინნეული, რომ 1978 წლის მარტიდან დაფეხლოთ პროდუქციის მწარმოებელ სამინისტროებს, მათ შორის რესპუბლიკურ სამინისტროებსაც, მისცენ იმ საწარმოებს, რომელთა პროდუქციის უმაღლესი კატეგორიის ხარისხი მიენიჭება, „ხარისტოფო ხარისხის ნიშნის მინიჭების მოწმობა“.

დაწერილებული გართ, ფაქტა შემდეგ ამბ. ბოიცოვმა, რომ ეს ორისძიება ითანაღლის სამინისტროების როლს, ავტორიტეტსა და პასუხისმგებლობას პროდუქციის ფუნქციონირების მოწყობისას.

ამავამად სსრ კავშირის სახსტანდარტი ძირეულად გარდაქმნის სახელმწიფო ზედამხედველობის მთელ სისტემას, მისი მიზანია გადაკეთების ტერიტორიული ორგანოები ორგანიზაციულ-მეთოდიკური ცენტრებად, რომლებიც ფუნქციონირებენ გადაწყვეტილებებს გადაწყვეტენ ადგილებზე საკითხებს სახსტანდარტის საქმიანობის ყველა მიმართულებით.

სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის ასეთი ცენტრი თბილისშიც შეიქმნება, რას შედეგადაც რესპუბლიკის საწარმოებსა და ორგანიზაციებს გაეკეთება მეტი დახმარება გაეწევათ წარმოების ეფექტიანობის ამაღლების კომპლექსური სისტემის, შეიშალება-დანერგვასა და მის მეტროლოგიურ უზრუნველყოფაში.

შეკეთ ხუთწლედში დიდი ყურადღება დაეთმობა სსრ კავშირის სახსტანდარტის ტერიტორიული ორგანოებისა და საუწყებო მეტროლოგიური სამსახურების აღჭურვას.

დასასრულ ამბ. ბოიცოვმა გამოთქვა რწმენა, რომ თბილისში გამართული II სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, კონფერენციაზე შემოქმედებული რეკომენდაციები ხელს შეუწყობს ამ ამოცანების წარმოებაში შესრულებას, რომლებიც სკკპ XXV ყრილობამ დასახა წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების დარგში.

კონფერენციის პლენარულ სხდომებსა და სექციათა სხდომებზე 60-ზე მეტი მოხსენება და ინფორმაცია მოისმინეს წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების საკითხებზე.

აღინიშნა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ, სსრ კავშირის სახსტანდარტმა და სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა რესპუბლიკურმა საბჭომ საჭიროდ მიიჩნიეს სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მოწყობა, რათა ერთხელ დგენ მიეჩქიათ ყურადღება ხარისხის პრობლემის ორგანიზაციულ-ტექნიკური და ეკონომიკური ასპექტებისათვის და განეზოგადებინათ ამ დარგში შეძენილი მუშაობის გამოცდილება. ასეთი გამოცდილება კი, უდავოდ არის, რადგან საქართველოს სსრ მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო და საკონსულტაციო ორგანიზაციებს მუშაობენ ამ ამოცანების გადასაწყვეტად.

ბევრი საწარმო აუკეთებენებს წარმოების ტექნოლოგიასა და ორგანიზაციას, ამ საფუძველზე ამაღლებს ხარისხს, მუშაობს გაუფუჭებელი ბაჭენებლების მეძონ ახალ სახეობათა პროდუქციის ათვისებაზე, წარმოებიდან ხსნის მოძველებულ და ექსპლოატაციის ბოლს ნაკლებად ეფექტიან ნაკეთობებს და ახორციელებს მათი მიღებინაზიას.

პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის მუშაობის ორგანიზაციაში პროდუქციის ხარისხის მართვის ორგანიზაციის სიხლეა პროდუქციის ხარისხის მართვის მოდმინ ღონისძიებათა ერთმანეთთან დაკავშირებულ და მიზანმიმართულ კომპლექსში გადასვლა, რაც სტანდარტიზაციის ბაზაზე ხორციელდება.

ცხადი ხდება ის ფაქტი, რომ სტანდარტიზაცია ჩვენს დროში წარმოების მართვის არა მარტო ეფექტიანი, არამედ საარსებოდ საჭირო საშუალებაც არის.

აღინიშნა, რომ სტანდარტიზაციის საკითხებს რესპუბლიკაში ჯერ არასდროს არ მიუპყრია ასეთი ფართო ყურადღება და სტანდარტიზაციას არასოდეს ჯერ ჰქონია ასეთი ფართო ასპარეზი, ეს ეხება ჩვენებული — გვავალებს ხარისხის პრობლემას ახლანდელზე გაცილებით სერიოზულად მოვეკიდოთ.

კონფერენციაზე წამოაყენეს წინადადება, რომ მისი დამთავრებისთანავე მოეწყოს ქალაქების, რაიონების, საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სოციალისტური შეჯიბრება წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის და შემუშავდეს ამ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა მატერიალური და მორალური წახალისების ღონისძიებანი.

აღინიშნა, რომ მიზანშეწონილია ამ კონფერენციაზე შექმნილი სექციები მუდმივმოქმედად გადაკეთდეს.

როგორც კონფერენციაზე ითქვა, პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, სამინისტროთა, უწყებათა და საწარმოთა ხელმძღვანელებმა თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობას საფუძველად უნდა დაუდონ კონფერენციის მონაწილეთა მიერ შემოტანილი რეკომენდაციები, გადაიქცეონ ისინი მოქმედების პროგრამად და სახელმძღვანელოდ.

ამ დიდ და მრავალმხრივ მუშაობაში მტკიცედ უნდა დავეყრდნოთ მრომელთა კოლექტივებს და პროდუქციის ხარისხის ამაღლების ამოცანის გადაწყვეტაში ჩავებათ მუშაობა ფართო მასები, ინჟინერ-ტექნიკური და მეცნიერი მუშაკები, განუფეთეთოროთ მათ ქარხნის მარკის ღირსებისათვის სიამაყისა და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა. (საქინფორმი).

მეცნიერები —წარმოებას

28 ნოემბერს თბილისში მუშაობა დაიწყო დიდი ოქტომბრის 60 წლისთავისადმი მიძღვნილმა საკავშირო სიმპოზიუმმა, რომელიც განიხილავს მცირედშემცველი ვოლფრამის დიდმწარმოებლური საჭრისი ინსტრუმენტის შექმნისა და დანერგვის პრობლემებს. სიმპოზიუმი მოიწვიეს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროებმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მექანიკისა და მართვის პროცესების განყოფილებამ, საქართველოს გ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა.

სიმპოზიუმი შესავალი სიტყვით გახსნა მისი სორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს გ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროორექტორმა თ. ლოლაძემ.

პირველ დღეს მოისმინეს მიმოხილვითი მოხსენებანი, რომლებითაც გამოვიდნენ: საბჭოთა კავშირის სახ შენადნობთა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ნ. კიდერ, ტექნოლოგიისა და მანქანათმშენებლობის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გენერალური დირექტორი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნ. ზობერი, მასალათმცოდნეობის პრობლემათა ინსტიტუტის განყოფილების გამგე, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ნ. ფრანცევიჩი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ურალის სამეცნიერო ცენტრის ქიმიის ინსტიტუტის დირექტორი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გ. შვეიკინი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ი. ლოლაძე და სხვები.

სიმპოზიუმის მონაწილენი გაეცნობიანენ ახალი ეფექტიანი ინსტრუმენტების შექმნის მიცნერული საფუძვლებს, წარმოების ტექნოლოგიის, ტექნოლოგიური მოწყობილობის, სასორტოლო-საზომი ხელსაწყოების სრულყოფილა და გამოსათვლელი ტექნიკის გამოყენების ეფექტიანობისა და ეკონომიკურობის, არსებული შენადნობების ხარისხის შემდგომი ამაღლების გზებს.

სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩერქეზია.

(საქინფორმი).

იუგოსლავიის ხალხთა დღესასწაული

29 ნოემბერს თბილისის მშრომელთა წარმომადგენლები ეტიკრიბნენ საქართველოს საზოგადოებრივთა „კულტურული ურთიერთობის“ საზოგადოებაში, რათა აღენიშნათ იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაული — რესპუბლიკის გამოცხადების 32-ე წლისთავი.

კრების პრეზიდიუმში იყვნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩერქეზია, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უცხოოთთან ურთიერთობის განყოფილების გამგე ნ. კიკვაძე, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ზ. კვაჭაძე, საქართველოს საზოგარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. მელაძე.

კრება გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ნ. გურგენიძემ.

მოხსენება გააკეთა საქართველოს საზოგარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის გამეგობის წევრმა, ისტორიის მეცნიერებათა სპეციალისტმა ი. ტაბაღუამ. მან ლაპარაკი წარმატებებზე, რომლებსაც იუგოსლავიის ხალხებმა კომუნისტთა კავშირის ხელმძღვანელობით მიაღწიეს სოციალიზმის მშენებლობაში, მრავალეროვანი სამშობლოს განვითარებაში, მტკიცე მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის ბრძოლაში.

კრებაზე გამოვიდნენ მოწინავე მშენებელი, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ტ. ქართველიშვილი, ფაშისტ დამპყრობთაგან თავისუფლების განთავისუფლებისათვის ომში ბრძოლების მონაწილე ბ. ჩლაძე, თბილისის უნივერსიტეტის დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტი ი. ჩიქვანაძე.

მათ ილაპარაკეს სოციალისტური ოკუპაციისადმი, მშრომელებისადმი ორმაგ პატიჟისცემისა და სიმპათიის გრძნობებზე.

კრების მონაწილეებმა ბოსასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს. (საქინფორმი).

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 28 ნოემბრის ბრძანებულებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპეციალი სიგელით დაჯილდოდა ამხ. რაფიელ სიმონის ძე **ელიგულაშვილი** — სსრ კავშირის საგარეო ეკონომიკის სამინისტროს რწმუნებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში. საქართველოს სსრ სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, — რესპუბლიკის სამინისტროს ... ...

საკლესი

მსოფლიო ამბები

მოლაპარაკება გუდაკეშტში

გუდაკეშტი, 28 ნოემბერი, (საკლესი). უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ი. კადარის მოწვევით, 24-27 ნოემბერს უნგრეთის ხალხთა რესპუბლიკაში მეგობრულ ვიზიტად იყო საფრანგეთის კომპარტიის გენერალური მდივანი ჟ. მარშე.

აქ გამოქვეყნებულ კომუნიკეში ნათქვამია, რომ მოლაპარაკების დროს მხარეებმა ერთმანეთს გააცნეს თავიანთი პარტიების საქმიანობა, მოიწყვეს აზრთა ფართო გაზიარება საერთაშორისო მდგომარეობის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის აქტუალურ საკითხებზე. უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიისა და საფრანგეთის კომპარტიის ხელმძღვანელებმა აღნიშნეს იმ ბრძოლის მნიშვნელობა, რომელსაც ორივე პარტია ეწევა სხვა დემოკრატიულ, პროგრესულ და ძმეიდობისმოყვარე ძალებთან ერთად გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, პროგრესის, საყოველთაო და სრული განიარაღების ინტერესებისათვის, ევროპის ხალხთა თანამშრომლობისა და მეგობრული ურთიერთობის განვითარებისათვის, მტკიცედ მშვიდობისა და უშიშროებისდთვის.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲘᲪᲝᲪᲪᲚᲔ



თბილისელებმა და საქართველოს დედაქალაქის სტუმრებმა უკვე შეიყვარეს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის განახლებული, გამშვენიერებული თეატრი, სადაც დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის წინ ახალი 125-ე თეატრალური სეზონი გაიხსნა.

თეატრში მრავალ სიახლესთან ერთად დადგმულია ახალი რადიოტექნიკური აპარატურა, რომლის საშუალებითაც იყენებენ ხინოლის ეფექტებს და აწყობენ ტრანსლაციას ტელევიზიით და რადიოთი.

ᲮᲘᲠᲐᲗᲘ: ხინათლის მთავარი მხატვარი ვადიმ სტუდენეცკი და უფროსი ინჟინერი ვლადისლავ ვლასოვი სცენის განათების მართვის პულტთან.

Გ. ᲛᲘᲠᲝᲜᲝᲕᲘᲩᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲝ

ᲔᲕᲤᲔᲛᲘᲖᲛᲘᲡᲒᲘ ᲓᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲢᲐᲒᲣ

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡ ლიტერატურა არცთუ ისე მდიდარია გამოკვლევებით, ისეთი საინტერესო ენობრივი მოვლენებს რომ ეხება, როგორიც არის ევფემიზაცია (ბერძნული „ეუ“ — „კარგი“ და „ფემი“ — „ლაპარაკობ“) და ტაბუაცია (სიტყვა „ტაბუ“ აღებულია პოლინეზიური ენების რელიგიური ლექსიკონიდან და ნიშნავს „აკრძალვას“, „აკრძალულს“). ორივე ამ მოვლენის არსებობა ენებში, მაგალითად, ექსტრალინგვისტური ფაქტორებით არის განპირობებული, მაგრამ რადგანაც სქმე ენას ეხება, ისინი ენობრივ მოვლენებად უნდა ჩაითვალოს. ის ფაქტი, რომ მორწმუნე ებრაელი თავის ღმერთს არ მოიხსენიებს პირდაპირი სახელით და მას იცვლის ევფემიზმით „ადონაი“, რაც ქართულად „ბატონს“ ნიშნავს, რელიგიური ცრურწმენა, მაგრამ როდესაც ქართულში „გვიანს“ მაგივრად ამბობენ „უხსენებელს“, „უსახელოს“ და ა. შ., ეს მაგიის კანონებზე დამყარებული ტაბუა.

როგორც ვხედავთ, ენასტრალინგვისტური ფაქტორები (რელიგიური და მაგიური ცრურწმენები) გავლენას ახდენს ენის პრაგმატულ ფუნქციაზე — აიძულებენ მოლაპარაკე სუბიექტს არ იხმაროს ესა თუ ის სიტყვა, შეიცვალოს იგი სათანადო ევფემიზმით. ამრიგად, ენასტრალინგვისტური ფაქტი ენობრივი ფაქტი ხდება და ამდენად, გასაგებია, რომ ენათმეცნიერება გვერდს ვერ უვლის ევფემიზაციისა და ტაბუაციის მოვლენების კვლევას.

მიუხედავად საკითხის აქტუალობისა, ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ამ ბოლო დრამდე არ არსებობდა სპეციალური გამოკვლევა ევფემიზმებისა და სიტყვის ტაბუს შესახებ. ჩვეულებრივ, ეს საკითხები განიხილება მეტად ფრაგმენტულად და არასრულად არა მარტო ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში, არამედ საერთოდაც. ამიტომ მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ წელს მონოგრაფიად გამოსცა გერმანული ენის კათედრის დოცენტის, ცნობილი მთარგმნელის კარლო ჯორჯანელის ნაშრომი „ევფემიზმები და სიტყვის ტაბუ“.

ხსენებული ნაშრომი კ. ჯორჯანელის პირველი ლექსიკოლოგიური ხასიათის გამოკვლევა არ არის. მას სხვა სტატიებიც აქვს ლექსიკოლოგიის საკითხებზე, სადაც საინტერესო პრობლემებია დასმული და სათანადოდ გადაწყვეტილი. ასეთია მისი გამოკვლევები ანტონიმებისა (იხ. კ. ჯორჯანელი, ანტონიმები. გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VII, 1961 წ.) და სინონიმების შესახებ (იხ. კ. ჯორჯანელი, სინონიმთა საკითხისათვის, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, № 155-156, 1974 წ.).

მონოგრაფიაში „ევფემიზმები და სიტყვის ტაბუ“, უპირველეს ყოვლისა, თეორიული ხასიათის გამოკვლევა. ავტორი დასაწყისშივე აყალიბებს თავის თვალსაზრისს ევფემიზმისა და ტაბუს შესახებ. ამ საკითხების კვლევისას მისთვის ძნელია ერთი სიტყვის ემოციური, ქმედითი ძალა, რასაც იგი სამართლიანად უკავშირებს სახელგანთქმული რუსი ფიზიოლოგის ი. პ. პავლოვის მოძღვრებას „ორგანოთა სასიგნალო სისტემების“ შესახებ.

მონოგრაფიის ძირითადი ნაწილია ევფემიზმებისა და ტაბუს კლასიფიკაცია. ავტორი განასხვავებს სამგვარ კლასიფიკაციას: 1. ფიზიკალისტურს, რომელიც ევფემიზმებს ალაგებს აღნიშნული ობიექტების მიხედვით (მაგალითად, ევფემიზმები სხეულის ნაწილებზე, ტანსაცმლის ზოგიერთ სახეობაზე, სქესობრივ ცხოვრებაზე და სხვ.); 2. ფსიქოლოგიურს (მაგალითად, ინფორმაციული ცრურწმენაზე, ავადმყოფობათა სახელებსა და სიკვდილზე და სხვ. დამყარებულ ტაბუ და ევფემიზმები) და 3. საკუთრივ ლინგვისტურს (მაგალითად, სიტყვის გამოტოვება, საზოგადო სიტყვის ბგერითი შედგენილობის ნაწილობრივი შეცვლა და სხვ.).

წიგნის ავტორი იძლევა ევფემიზმების კლასიფიკაციას ლინგვისტური და ფსიქოლოგიური კრიტერიუმების მიხედვით. ჩვენ არ მოგვეპოვება ბევრი ისეთი ნაშრომი, სადაც ასე სრულად, თანმიმდევრულად და ამოწურვადაა იყოს განხილული ევფემიზაციისა და ტაბუაციის მოვლენები. ქართული, რუსული, და გერმანული ენების საფუძვლიანი ცოდნა ავტორს საშუალებას აძლევს მისთვის საინტერესო საკითხების კვლევისას გამოიყენოს უხვი ფაქტობრივი მასალა. ამავე დროს იგი „მაყოფილდება სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილი ენობრივი ფაქტებით და ხშირად გვაწვდის ახალ, სპეციალურ ლიტერატურაში აქამდე უცნობ მაგალითებს და საინტერესოდ ახსნის მათ ამტომაც კ. ჯორჯანელის წიგნი გამოირჩევა ენობრივი ფაქტების სიუხვითა და მათი ორიგინალური ინტერპრეტაციით. მრავალია, ავტორი ძირითადად ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებს ემყარება, მაგრამ ხშირად, საჭიროების შემთხვევაში, იგი ფიყნებს ლათინურ, ფრანგულ, ინგლისურ და სხვა ენებსაც, რაც კიდევ უფრო მასშტაბურს ხდის მის გამოკვლევას.

კ. ჯორჯანელი ყოველთვის არ მიმდგარა სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილ საკლასიფიკაციათ მოდელებს ევფემიზმებისა და ტაბუსათვის. სრულიად ახალია ევფემიზმების კლასიფიკაციის ისტორიაში იმის ჩვენება, რომ ქართულში ევფემისტურ ეფექტს ბასთური კონსტრუქცია იწვევს (მაგალითად, „პეტრეს ქაცი შემოაკედა“, ნაცვლად „ქალიური წინადადებისა „პეტრემ ქაცი მოკლა“).

მონოგრაფიის მესამე თავი ეძღვნება ევფემიზაციისა და ტაბუაციის როლს ენის ლექსიკური მარაგის ცვლილებაში. უნდა აღინიშნოს, რომ საკითხის ამგვარი დასმა ახალი არ არის, მაგრამ, რამდენადაც ჩვენ ვიცით, ევფემიზმებისა და ტაბუს როლი ენის ლექსიკური მარაგის ცვლილებაში ისე სრულად, როგორც ეს კ. ჯორჯანელის წიგნშია წარმოდგენილი, აქამდე არავის უკვლევია, რაც საინტერესო ნაშრომის დიდი ღირსებაა.

ზემოთქმული, ეფექრობთ, უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ კარლო ჯორჯანელის მონოგრაფიის — „ევფემიზმები და სიტყვის ტაბუ“ — სახით ამ საკითხებით დაინტერესებულმა მკითხველმა მიიღო მეტად საჭირო და საინტერესო გამოკვლევა. დასასრულ მხოლოდ ის, რომ წიგნი მცირე ტირაჟით არის გამოცემული.

Გ. ᲜᲔᲑᲘᲔᲠᲘᲫᲔ,
პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

ᲮᲔᲚᲑᲣᲠᲗᲘ

„ზარია ვოსტოკას“ პრიზზე

თბილისის სპორტის ხასახლეში დაიწყო ხელბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე. იგი რიგით მეთერთმეტეა და მან უკვე დიდი პოპულარობა მოიპოვა ხელბურთის ქომაგებს შორის. უნდა ითქვას ისიც, რომ ეს შეჯიბრება შეტანილია ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის ოფიციალურ კალენდარში და, ბუნებრივია, ასეთ ასპარეზობაში გამარჯვება, თითოეული კოლექტივის სანუკვარი ოცნებაა.

გუშინდელი შეხვედრების შედეგები ასეთია: რუმინეთი-გდრ — 25:18 (12:9), სსრ კავშირი-სსრ კავშირი (ახალგაზრდული) — 24:23 (13:13), საქართველო-იუგოსლავია 23:23 (11:15).

გთავაზობთ დღევანდელი მატჩების განრიგს: 17 საათზე — **გდრ-იუგოსლავია**, 18.30 — **რუმინეთი-სსრ კავშირი** (ახალგაზრდული), 20.00 — **სსრ კავშირი-საქართველო.**

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲯᲔ ᲐᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ 1977 წლის შედეგებიმიხედვით დაასახელა 33 საუკეთესო ფეხბურთელი. ესენი არიან: მეკარეები: 1. დეგტიარიოვი („შახტიორი“), 2. პილგული („დინამო“, მოსკოვი), 3. იურკოვსკი („დინამო “, კიევი); მცველები: 1. პრიგოდა („ტორპედო“), 2. კოსტავა („დინამო“, თბილისი), 3. პაროვი („დინამო“, მოსკოვი), 1. ხინჩაგაშვილი („დინამო“, თბილისი), 2. ფომენკო („დინამო“, კიევი), 3. გოლუბევი („ზენიტი“), 1. ბუბნოვი („დინამო“, მოსკოვი), 2. ტუპიკოვი („ტორპედო“) 3. კახელაძე („დინამო“, თბილისი), 1. მახოვიკოვი („დინამო“, მოსკოვი), 2. მუჯირი („დინამო“, თბილისი), 3. ბუტურლაკინი („ტორპედო“); ნახევარმცველები და თავდასმსმელები 1. ბურიაკი („დინამო“, კიევი), 2. მინაევი („დინამო“. მოსკოვი), 3. მ. მაჩაძე („დინამო“, თბილისი), 1. კონკოვი („დინამო“, კიევი), 2. ბესონოვი („დინამო“, კიევი), 3. იურინი („ტორპედო“), 1. ყიფიანი („დინამო“, თბილისი), 2. კოლტოვი („დინამო“, კიევი), 3. სახაროვი („ტორპედო“), 1. ვერემეევი („დინამო“, კიევი), 2. ფილატოვი („ტორპედო“), 3. ბერეზნოი („დინამო“, კიევი), 1. ბესნოკოვი (ცსკა), 2. ბუციკევიჩი („დინამო“, თბილისი), 3. ონიშჩენკო („დინამო“, კიევი), 1. ბლოხინი („დინამო“, კიევი), 2. ჩელებაძე („დინამო“, თბილისი), 3. შენგელია („დინამო“. თბილისი).

33 საუკეთესოს შორის არიან ჩვენი ქვეყნის შვიდი კლუბის წარმომადგენლები. სსრ კავშირის ჩემპიონების კიევის დინამოელებისა — ათი, ჩემპიონატის ვერცხლის მედლების მფლობელების თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებისა — ექვსი, მოსკოვის ტორპედოელების — „ბრინჯაოს“ პრიზიორებისა — ერთი, მოსკოვის დინამოელებისა — ხუთი, და თითო-თითო არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის, „ზენიტის“ და „შახტიორისა“. ამ სიაში „პირველი ნომრების“ ნაკრებისა ეკუთვნიან: **დეგტიაროვი, პრიგოდა, ხინჩაგაშვილი, ბუბნოვი, მახოვიკოვი, ბურიაკი, კონკოვი, ყიფიანი, ვერემეევი, ჩესნოკოვი და ბლოხინი.**

„33 საუკეთესოს“ რეკორდსმეჭირენი არიან ვერემეევი და კოლტოვი, რომლებიც უკვე მეშვიდედ შეიყვანეს „ასების სიაში“, ამ სიაში მეექვსეკერ არიან ბლოხინი, ონიშჩენკო და ფომენკო.

უძლიერესთა რიცხვში პირველად მოხვდნენ კოსტავა, ახალელაძე, ჩელებაძე, შენგელია, მუჯირი, იურკოვსკი, ტუპიკოვი, ბონოვი, ბესონოვი, იურინი და ბერეზნოი. (საკლესის „სპორ.“).

ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲧᲐᲕᲨᲘᲠᲝ

ᲥᲕᲐᲚᲘ ᲚᲔᲕᲝᲕᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘᲐ

ᲛᲔᲓᲐᲚᲘᲗᲘᲗ, ᲡᲐᲛᲬᲕᲠᲗᲔᲚᲘᲗ Დ ᲣᲫᲚᲘᲔᲠᲔᲡᲘ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲘᲗ

პირველ დეკემბერს ლევოში იწყება ქალთა საკავშირო ჩემპიონატი ჭადრაკში, რომელშიც 13 დიდოსტატი, ოსტატი და ოსტატობის კანდიდატი იღებს მონაწილეობას. თუმცა ამჯერად არ ითამაშებენ მსოფლიოს ჩემპიონი დიდოსტატი ნ. გაფრინდაშვილი (თბილისი), რომელიც ამ დროს ლაიფციგის ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში გამოვა, და მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტთა ასპარეზობის მონაწილე დიდოსტატი ვ. ფატალიევა (მოსკოვი), შეჯიბრება მაინც მეტად ძლიერ და საინტერესო შემადგენლობას იკრებს. ჩემპიონობისთან ერთად მან უნდა გამოავლინოს საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრების წევრობის კანდიდატები.

ტურნირს განსაკუთრებულ ეშხს აძლევს მსოფლიოს ჩემპიონობის ნორჩი პრეტენდენტის, დიდოსტატ მ. ჩიბურდანიძის მონაწილეობა. ადრე დაგეგმილი იყო პრეტენდენტის თამაში რომის ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში, მაგრამ თვით ჩიბურდანიძემ ამჯობინა ლვოვში გამოსვლა, სადაც, მისი ეკოოთქმით, ყველა „დიდი მონდომებით ეთამაშება“ და ამდენად უკეთ იგარჯიშებს პრეტენდენტთა ფინალური მატჩის წინ. საკავშირო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ჩიბურდანიძეს პრეტენდენტთა მატჩამდე დასასვენებლად, ძალების მოსაკრებად დარჩება კიდევ დაახლოებით სამი კვირა. თუ სად გაიმართება ეს მატჩი, ამ მოკლე ხანში გახდება ცნობილი.

ლვოვში პერსონალურად მოწვეულია არიან საბჭოთა კავშირის შარშანდელი ჩემპიონი საერთაშორისო ოსტატი ა. ახშარუმოვა (მოსკოვი), ამავე ჩემპიონატის პრიზიორები საერთაშორისო ოსტატი ე. ეპშტეინი (გორკი) და დიდოსტატი ნ. ალექსანდრია (თბილისი).

ჩემპიონატმა უნდა გვიჩვენოს, თუ რამდენად კანონზომიერი იყო ახალგაზრდა მოჭადრაკეების ახშარუმოვასა და ეპშტეინის შარშანდელი დიდი წარმატებები. რაც შეეხება ნ. ალექსანდრიას, იგი, უდავო ვიფიქროთ, ჩემპიონობის მოსაპოვებლად ითამაშებს. ნახა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სამი ოქროს მედლის მფლობელი და ნეოთხისათვის ბრძოლასთან ერთად, ცხადია, ვაისად არგენტინაზე, ქალთა საერთაშორისო ოლიმპიადაზე მონაწილეობის პრეტენზიასაც აცხადებს. ვფიქრობთ, ნ. ალექსანდრიამ ოქტომბერში საკმაოდ იკარგაზე ბრძოლებისა-სოხუმის საერთაშორისო ტურნირში, ეს ნათლად გამოჩნდა საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მატჩში, სადაც ქართველმა დიდოსტატმა 4 შესაძლებლიდან 3,5 ქულა მოგროვა საერთაშორისო ოსტატ ჟ. მანეკთან.

ლვოვში პერსონალურად მიწვეულია აგრეთვე პრეტენდენტთა ამასწინანდელი ნახევარფინალური მატჩის მონაწილე დიდოსტატი ე. ახმილოვსკაია (კრასნოიარსკი).

ახლა კი რამდენიმე სიტყვა ამ მოჭადრაკეებზე, რომლებმაც ფინალში თამაშის უფლება შეესარჩევ შეჯიბრებაში მოიპოვეს. მათ შორის უნდა გამოვყოთ 3 მრავალნაცადი დიდოსტატი: ი. ლევენფიში (ლენინგრადი), მ. ლიტინსკაია (ლვოვი) და ტ. ზატულოვსკაია (მოსკოვი). დიდად ნიჭიერ ლევენფიშს უკანასკნელ წლებში არ მიუღწევია სტაბილური წარმატებებისათვის, რასაც, ცხადია, თავისი მიზეზი ჰქონდა. ახლა ორი უფერული სეზონის შემდეგ ლენინგრადელი დიდოსტატი, ეფიქრობთ, მაღალი ადგილისათვის იბრძოლებს. ზატულოვსკაია წლეულს მოსკოვის ჩემპიონი გახდა, ლიტინსკაიამ კი დამაჯერებლად დაიკავა პირველი ადგილი ბალკისინგენის (გფრ) საერთაშორისო ტურნირში.

საკავშირო ასპარეზზე „კარგად ცნობილი საერთაშორისო ოსტატები ტ. ფომინა (ტალინი), ლ. სემიონოვა (კიევი), ა. კისლოვა (ლენინგრადის ოლქი), ოსტატი ნ. ალთახინა (ვორონეჟი), ოსტატობის კანდიდატი ტ. მორონოვა (ლვოვი). ოსტატობის კანდიდატებს ლ. პიარნპუუს (ტალინი), ო. კოლოიარცევას (პენზა) და მ. მაკარიჩევას (მოსკოვი) ამ ძნელ შეჯიბრებაში დებიუტი ექნებათ.

ცალკე უნდა აღინიშნოს 15 წლის თბილისელი ოსტატი ნ. ოსელიანი. მან ხაფსეულში ბრწყინვალე ითამაშა პეტროზავოდსკის ნახევარფინალში, სადაც 15 შესაძლებლიდან 11 ქულით პირველ ადგილზე გამოვიდა. ნ. იოსელიანი უკვე მეორედ გამოვა საკავშირო ჩემპიონატის ფინალში. როგორც ჩვენს მკითხველებს ახსოვთ, იოსელიანის შარშანდელი დებიუტი თბილისში გამართულ ქალთა საკავშირო ჩემპიონატში ჩინებული გამოდგა. ნორჩი მოჭადრაკე მეტად ნაყოფიერად მეცადინეობს ოსტატ ე. უბილავასთან და ამასთან კონსულტაციებს იღებს მსოფლიოს ექსჩემპიონ მ. ბოტვინიკის სკოლაში.

ერთი სიტყვით, ითქმის მთელი თვის შინაარსზე ლვოვში ცხარე ბრძოლებია მოსალოდნელი.

Გ. ᲒᲐᲛᲠᲔᲙᲔᲚᲘ.

ᲮᲘᲚᲐᲠᲝᲑᲐ

ᲚᲕᲝᲕᲘᲡ ᲢᲐᲢᲐᲛᲨᲘ

სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ საკავშირო საბჭოს პირველობა-ტურ ჩემპიონატში, რომელიც ლვოვის ტატამზე გაიმართა, 10 ეუნდის 180 საუკეთესო ძიუდოისტი მონაწილეობდა. ერთდროულად მიმდინარეობდა როგორც იუნიორთა, ისე მოზრდილთა ასპარეზობა.

ასპარეზობაზე განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია საქართველოს ნაკრებმა (მწვრთნელი, სპორტის ოსტატი მ. გოგოლაური), რომელმაც 81 ქულა მოაგროვა და საზოგადოების ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. მეორე ადგილზე გამოვიდა რსფსრ-ის ნაკრები — 71, ხოლო მესამეზე — უკრაინისა — 41 ქულა.

იუნიორთა ტურნირზე ჩემპიონის საპატიო ტიტული დაისაკუთრეს: ვ. ბიბილაშვილმა (გორი), ი. ობგაიძემ (თბილისი), ფ. გასიტაშვილმა (გორი), თ. დონლუზაშვილმა (თბილისი). მეორე საპრიზო ადგილები მოიპოვეს თ. ეოდერძიშვილმა და ნ. ნუგზარიშვილმა (ორივე თბილისი).

მოზრდილებში თავი გამოიჩინა გორელმა სტუდენტმა ტ. მუთოშვილმა, რომელმაც საზოგადოების ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. მეორე საპრიზო ადგილები ხვდათ ბ. ბუჯიაშვილსა და ნ. მალეკინიშვილს, ხოლო მესამე ადგილებზე გამოვიდნენ მ. ლოსეურაშვილი და მ. ალბორაშვილი (ორივე თბილისი).

ჩვენი რეპუბლიკის რამდენიმე მოჭიდაკე შეეკვანილია „ბურევესტნიკის“ საკავშირო საბჭოს ნაკრებში, ისინი 10 დეკემბერს მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის თასის გათამაშებაში, რომელიც კომინიოვში გაიმართება.

შ. ᲑᲐᲮᲢᲐᲫᲔ.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ

მოსკოვი ჩემპიონობის პრეტენდენტების ბ. სპასკისა და ვ. კორჩნოის ფინალური მატჩის მეორეგი მეთორე ბაღია, რომელშიც სპასკი თეორებით თამაშობდა, ოთ ამით ფასრულდა. ანგარიში გახდა 3:1 კორჩნოის სასარგებლოდ.

მორიგი მეხუთე პარტია დღეგანთვის არის დანიშნული.

„ᲡᲠᲝᲠᲢᲚᲝᲢᲝ“

სპორტულ ლატარიათა მთავარმა სამმართველომ შეაჯამა 26 ნოემბერს გამართული „შაბათის სპორტლოტოს“ 48-ე (36-დან 5) ტირაჟის შედეგები.

პირველი ტირაჟი: ხუთი ნომრის გამომცნობნი მიიღებენ 5000 მანეთს (8 ბარათი); ოთხისა — 131 მანეთს (1.283 ბარათი); სამისა — 5 მანეთს (40.803 ბარათი).

მეორე ტირაჟი: ხუთი ნომრის გამომცნობნი აქაც მიიღებენ 5.000 მანეთს (12 ბარათი); ოთხისა — 101 მანეთს (1.826 ბარათი); სამისა — 4 მანეთს (41.938 ბარათი).

„შაბათის სპორტლოტოს“ (36-ე დან —5) 48-ე ტირაჟის მოგებანი გაიცემა 1977 წლის 7 დეკემბრიდან, 1978 წლის 7 იანვრის ჩათვლით.

„შაბათის სპორტლოტოს“ მოგებათა გაცემა იწარმოებს 30 ნოემბრიდან 30 დეკემბრის ჩათვლით, აქამდე გამოქვეყნებული ლოტოს ტირაჟის მოგებათა გაცემას ვადები, როგორც სპორტულ ლატარიათა მთავარმა სამმართველომ გვაცნობა, ვადათალებულად ითვლება. (საკლესი).

რედაქტორი
Დ. ᲛᲔᲯᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲘᲪᲝᲪᲪᲚᲔ

ᲠᲝᲗᲣᲚᲘ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

პარიზი, 28 ნოემბერი. (საკლესი). პორტუგალიის პრემიერ-მინისტრმა მ. სოარეშმა, რომელიც საფრანგეთის რადიოთი გამოვიდა, დაადასტურა, რომ უახლოეს დღეებში ნდობის საკითხს დაუსვამს თავის კაბინეტს. როგორც ცნობილია, პორტუგალიის მთავრობამ განაცხადა, ხელისუფლების სათავეში დავრჩები, თუ ნოემბრის დამლევამდე დაიდები შეთანხმება ყველა ოპოზიციურ პარტიასთან ერთობლივი ეკონომიკური და სოციალური პროგრამის შესახებო.

ასეთი მოლაპარაკების დაწყების წინადადებას დადებითი პასუხი მხოლოდ პორტუგალიის კომუნისტურმა პარტიამ გასცა, მაშინ როცა მემარჯვენე პარტიების, სოციალ-დემოკრატიული და სოციალურ-დემოკრატიული ცენტრის ლიდერებმა კვირის მიწურულს კვლავ განაცხადეს, მთავრობის წინადადება ჩვენთვის „მიუღებელიაო“. ისინი აშკარად ამბობენ, რომ კატეგორიულად არ სურთ მოლაპარაკებაში მონაწილეობის მიღება, თუ იქ წარმოდგენილი იქნება პორტუგალიის კომუნისტური პარტია.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲔᲡᲠᲘᲓᲘᲡᲐᲜ

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲛᲐᲢᲙᲘᲪᲔᲑᲚᲐᲓ

● **მალე გაღდადში** გაიმართება აზია-აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციის მე-6 კონფერენცია, რომლის დღის წესრიგის ძირითადი პუნქტები იქნება მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების ერთიანობის განმტკიცების, იმპერიალიზმის, სიონიზმისა და რეაქციის ხრიკების წინააღმდეგ მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის გაფართოების პრობლემები. ეს ნათქვამია აქ გამოქვეყნებულ ცნობაში აზია-აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციის დელეგაციის ყოფილ რესპუბლიკაში ვიზიტის შედეგების შესახებ. ამ ვიზიტის დროს განხილეს მომავალი ფორუმისათვის და ამ ორგანიზაციის 20 წლისთავის დღესასწაულისათვის მზადების საკითხები.

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲣᲐᲠᲔᲡᲚᲔᲑᲐ

● **ვაშინგტონი.** ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ვაჭრობის პოზიციები სულ უფრო უარესდება. როგორც ვაჭრობის სამინისტრო იტყობინება, ოქტომბერში რეგისტრირებულია ამერიკის შეერთებული შტატების მთელი ისტორიის მანძილზე საგარეო ვაჭრობის ბალანსის ყველაზე დიდი დეფიციტი, რომელმაც 3,1 მილიარდი დოლარი შეადგინა. სექტემბერთან შედარებით იმპორტმა ექსპორტს 1,4 მილიარდი დოლარით გადააჭარბა.

ᲧᲐᲚᲓᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲐᲜ

● **ბანგკოკი.** გასულ კვირაში ტაილანდის სამხრეთ პროვინციებში მომხდარი წყალდიდობის შედეგად 1.300 კვადრატულ კილომეტრზე მეტ ფართობზე განადგურდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალი. ოფიციალურ ცნობებში აღნიშნულია, რომ სტიქიურმა უბედურებამ ყველაზე მეტად დააზიანა ბრინჯის — ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი საკვები პროდუქტის — ნათესები.

ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲯᲣᲜᲒᲚᲔᲑᲨᲘ

კატასტროფულ მასშტაბებს მიაღწია იაპონიის ზოგ რაიონში გარეოს გაჯუჯყიანებამ. ამას წინათ კაგავას პრეფექტურის (სოკოკუს კუნძული) სანაპიროზე ათასობით ტონა თევზი განადგურდა.

ადგილობრივი მებადურები ამას ქიმიურ კონცერნებს აბრალებენ, ომლებიც სრულიად უკონტროლოდ წყალში ყრიან სამრეწველო ნარჩენებს, რაც ხელს უშლის მიკროორგანიზმების ნორმალურ ზრდას. ეს სოკოკუს კუნძულის სანაპიროზე თევზის მასობრივად განადგურების ორე შემთხვევაა ამ უკანასკნელ ხუთ წელიწადში. სპეციალისტებმა ბადურეთათვის მიყენებული ზარალი ორ მილიარდ იენად შეაფასეს.

ᲡᲐᲮᲣᲠᲐᲗᲝᲗᲘ: მოწამლული თევზის მოსპობა.

ᲡᲐᲙᲚᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲤᲣᲚᲕᲘᲜᲘᲐ

30 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ

10.00 — ახალი ამბები (მოსკოვიდან), 10.10 — ღილის ბარჯიში (ფერადი. მოსკოვიდან), 10.30 — მხატვრული ფილმი „ბარინე“ (ფერადი), 11.45 — დოკუმენტური ფილმი, 16.55 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — მათემატიკა, 17.55 — განცხადებები, 18.00 — პოლიტიკური სემინარი (რუსულ ენაზე), 18.40 — შვეისწავლოთ გერმანული ენა, 19.10 — გადაცემა „ძმობის ფურცლები“ (ფერადი), 19.50 — „საშინაო მიმოხილვა“, 21.00 — „ოთამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — „ახალგაზრდობა იმედი ხვალის“ — მწერალი ბ. ჯოხაძე, 22.00 — „ერემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — კონცერტი, 23.05 — „ხელოვნების ოსტატები“ — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები ვ. ანჯაფარიძე და ე. გოგოლევა (მოსკოვიდან).

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ

18.00 — მოსწავლეთათვის — მათემატიკა, 18.45 — განცხადებები, 18.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გზა ტანამოსაკენ“ (ფერადი), 19.10 — სტუდენტთათვის — მასალათა გამძლეობა, 19.55 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ხუთწლედის მთავარი ბრძმედი“, 20.20 — — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მისი აღმატებულების აღიუტანტი“ (I სერია), 21.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „ეს ძველთაძველი ტრაქტორი“ და „დიალოგი გრძელდება“.

ᲠᲐᲓᲘᲝ

1 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

პირველი პროგრამით

07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მოსკოვიდან), 08.32 — მსუბუქი მუსიკა, 09.25 — რუსული გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მოსკოვიდან), 11.05 — შ. მშველიძე ოპერა „დიდოსტატის მარჯვენის“ ნაწყვეტები, 12.25 — „ცვენის ოსტატები“, 12.47 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.50 — ხ. პროკოფიევი. ვალსები, 13.15 — ამინდის ბიულეტენი, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.